

შპს „ემკ გრუპის“ სასარგებლო  
წიაღისეულის (ბაზალტის)  
გადამამუშავებელი საწარმოსა და  
ბეტონის კვანძის ექსპლუატაციის  
სკრინინგის ანგარიში

2025 წელი

სარჩევი

1. შესავალი .....	3
1.1 ზოგადი მიმოხილვა.....	3
1.2 სკრინინგის ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი.....	5
1.3 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა.....	7
2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა.....	12
2.1 დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა.....	12
2.1.1 საქმიანობის აღწერა .....	14
2.2 ნარჩენების მართვა.....	16
2.3 საწარმოო პროცესში წყლის გამოყენების და მართვის საკითხები .....	18
2.4 ელექტრომომარაგება .....	19
2.5 ბუნებრივი რესურსები .....	19
2.6 მისასვლელი გზები/სატრანსპორტო ოპერაციები .....	20
3. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზი.....	21
3.1 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება/ზემოქმედების დახასიათება .....	22
3.2 ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	38
3.3 ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე .....	42
3.4 ზემოქმედება მიწისქვეშა გრუნტის წყლებზე.....	43
3.4.1 ზემოქმედების შეფასების მეთოდოლოგია .....	43
3.4.2 ზემოქმედების დახასიათება.....	44
3.4.3 შემარბილებელი ღონისძიებები .....	44
3.5 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	44
3.6 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, გრუნტის დაბინძურება.....	44
3.7 ზემოქმედება ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებზე .....	45
3.8 კუმულაციური ზემოქმედება .....	45
3.9 ზემოქმედება შავ ზღვაზე და სანაპირო ზოლზე .....	45
3.10 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე.....	45
4. გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და მონიტორინგის პრინციპები .....	46
4.1 გარემოზე ზემოქმედების შემამცირებელი ღონისძიებების წინასწარი მონახაზი .....	47
4.2 დასკვნები და რეკომენდაციები .....	52

# 1. შესავალი

## 1.1 ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე პროექტი (სკრინინგის ანგარიში) წარმოადგენს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულალისში შპს „ემკ გრუპის“ სასარგებლო წიაღისეულის ბაზალტის გადამამუშავებელი (სამსხვრევი) საწარმოსა და ბეტონის კვანძის ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

2025 წლის 6 მაისს, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კომპანიის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №090092 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაგეზავნა ნინოწმინდის მაგისტრატ სასამართლოს.

საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდია: 65.10.40.248, რომელიც წარმოადგენს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. ტერიტორიის ფართობი შეადგენს 2 044 814 მ<sup>2</sup>, აქედან პროექტის მიზნებისთვის გამოყენებული იქნება დაახლოებით 76 000 მ<sup>2</sup> სადაც, პროექტით გათვალისწინებულია სასარგებლო წიაღისეულის (ბაზალტის) გადამამუშავებელი საწარმოსა და ბეტონის კვანძის ექსპლუატაცია.


წლის მანძილზე პროექტით გათვალისწინებულია 96 000 მ<sup>3</sup> მოცულობის სასარგებლო წიაღისეულის, ბაზალტის სველი მეთოდით მსხვრევა/გადამამუშავება. უშუალოდ სამსხვრევი დანადგარის განთავსების ადგილები მოშანდაკებულია ბეტონის საფარით. ტერიტორიაზე მოწყობილია ღია ტიპის სასაწყობე ფართები ნედლეულის და პროდუქციის განსათავსებლად. ტერიტორიაზე მოწყობილია საოფისე შენობა სველი წერტილით.

როგორც აღინიშნა, ტერიტორიაზე ასევე გათვალისწინებულია ბეტონის კვანძის ექსპლუატაცია. პროექტის მიხედვით წელიწადში გათვალისწინებულია 36 000 მ<sup>3</sup> ბეტონის წარმოება.

საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე დაგეგმილია 130 ადამიანის დასაქმება. საწარმო წლის მანძილზე იმუშავებს 200 დღე. ბაზალტის გადამამუშავება განხორციელდება 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით, ხოლო ბეტონის - 3 საათიანი სამუშაო გრაფიკით.

საპროექტო ტერიტორიაზე წარსულში ფუნქციონირებდა ანალოგიური ტიპის საწარმო. პროექტის ფარგლებში არ იგეგმება ბუნებიდან მრავალწლიანი ხე-მცენარეების ამოღება. პროექტი არ შეიცავს ფიზიკური ან/და ეკონომიკური განსახლების რისკებს.

აღნიშნული საქმიანობა განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 (სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავება) ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას და მაშასადამე დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.



პროექტის განმახორციელებელია შპს „ემკ გრუპი“, პროექტის განმახორციელებლის საკონტაქტო ინფორმაცია.

**ცხრილი საკონტაქტო ინფორმაცია**

<b>დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი</b>	<b>შპს „ემკ გრუპი“ 401945357</b>
<b>კომპანიის იურიდიული მისამართი</b>	ქ. თბილისი დიდუბის რაიონი, დიღმის მასივი, I კვ. კორპ. 2/ა
<b>საკონტაქტო ინფორმაცია</b>	ტელეფონი - 511191900 ელ.ფოსტა - <a href="mailto:info@enseco.ge">info@enseco.ge</a>
<b>საქმიანობის განხორციელების ადგილი</b>	წინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყულალისი
<b>დაგეგმილი საქმიანობის ტიპი</b>	სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებისა (ბაზალტის მსხვრევა) და ბეტონის კვანძის ექსპლუატაცია

## 1.2 სკრინინგის ანგარიშის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტით (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის საფუძველზე ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა სკრინინგის ანგარიში, რომელიც წარდგენილი იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს:

ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;

ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოგრაფიული სისტემები) კოორდინატების მითითებით (Shp ფაილებთან ერთად), აგრეთვე ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე;

გ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში - აგრეთვე ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.

სააგენტო სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 1 დღის ვადაში ამ განცხადებას უგზავნის ცენტრს (სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი). ცენტრი აღნიშნული განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში უზრუნველყოფს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე მის განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში - მისი ნაბეჭდი ეგზემპლარის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

წესით ხელმისაწვდომობას. საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში სააგენტოს ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარუდგინოს მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით. სააგენტო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

6. სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სააგენტო შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს:

ა) საქმიანობის მახასიათებლები:

ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;

ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ემოქმედება;

ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;

ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;

ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;

ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;

ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;

ბ.გ) ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;

ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;

ბ.ე) დასახლებულ ტერიტორიასთან;

ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან;

გ) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება:

გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;

გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

თუ სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ სააგენტო დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ, ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

### 1.3 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში მოზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, სკრინინგის პროცესში გათვალისწინებული იქნა საქართველოს სხვა გარემოსდაცვითი კანონები. საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა მოცემულია ცხრილში 1.3.1 და ცხრილში 1.3.2.

ცხრილი 1.3.1 საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ჩამონათვალი

მიღების წელი	კანონის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი	საბოლოო ვარიანტი
1994	საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	370.010.000.05.001.000.080	07/12/2017
1995	საქართველოს კონსტიტუცია	010.010.000.01.001.000.116	23/03/2018
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360.000.000.05.001.000.184	05/07/2018
1996	საქართველოს კანონი სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ	360.130.000.05.001.000.171	14/12/2007
1996	საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	410.000.000.05.001.000.186	26/12/2018
1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400.000.000.05.001.000.253	20/07/2018
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420.000.000.05.001.000.595	05/07/2018
2003	საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ	360.060.000.05.001.001.297	22/12/2018
2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370.010.000.05.001.001.274	07/12/2017
2005	საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ	300.310.000.05.001.001.914	19/04/2019

2007	საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	470.000.000.05.001.002.920	02/04/2019
1994	საქართველოს კანონი ნიადაგის დაცვის შესახებ	370.010.000.05.001.000.080	07/12/2017
1995	საქართველოს კონსტიტუცია	010.010.000.01.001.000.116	23/03/2018
1996	საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ	360.000.000.05.001.000.184	05/07/2018
1996	საქართველოს კანონი სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ	360.130.000.05.001.000.171	14/12/2007
1996	საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	410.000.000.05.001.000.186	26/12/2018
1997	საქართველოს კანონი წყლის შესახებ	400.000.000.05.001.000.253	20/07/2018
1999	საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	420.000.000.05.001.000.595	05/07/2018
2003	საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ	360.060.000.05.001.001.297	22/12/2018
2003	საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ	370.010.000.05.001.001.274	07/12/2017
2005	საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ	300.310.000.05.001.001.914	19/04/2019
2007	საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ	470.000.000.05.001.002.920	02/04/2019
2007	საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	450.030.000.05.001.002.815	20/07/2018
2014	ნარჩენების მართვის კოდექსი	360160000.05.001.017608	05/07/2018
2017	საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	360160000.05.001.018492	12/12/2024
2018	საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ	140070000.05.001.018915	02/04/2019

### საქართველოს გარემოსდაცვითი სტანდარტები

წინამდებარე ანგარიშის დამუშავების პროცესში გარემო ობიექტების (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) ხარისხის შეფასებისათვის გამოყენებული შემდეგი გარემოსდაცვითი სტანდარტები (იხ. ცხრილი 1.3.2)

ცხრილი N 1.3.2 გარემოსდაცვითი სტანდარტების ნუსხა

მიღების თარიღი	ნორმატიული დოკუმენტის დასახელება	სარეგისტრაციო კოდი
----------------	----------------------------------	--------------------

31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №425 დადგენილებით.	300160070.10.003.017650
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით.	300160070.10.003.017647
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებით.	300160070.10.003.017640
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების ) შესახებ. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N445 დადგენილებით	300160070.10.003.017646
31/12/2013	ტექნიკური რეგლამენტი - „ნიადაგის ნაყოფიერების დონის განსაზღვრის“ და „ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების მონიტორინგის“ დებულებები, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №415 დადგენილებით.	300160070.10.003.017618
03/01/2014	ტექნიკური რეგლამენტი - „წყლის სინჯის აღების სანიტარიული წესების მეთოდიკა“ დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №26 დადგენილებით	300160070.10.003.017615
03/01/2014	გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი - დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №17 დადგენილებით.	300160070.10.003.017608
14/01/2014	ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა“, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №54 დადგენილებით.	300160070.10.003.017673
04/04/2014	ტექნიკური რეგლამენტების - წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიში) წესის, წიაღით სარგებლობის პროექტების, საბადოთა დამუშავების ტექნოლოგიური სქემებისა და სამთო სამუშაოთა განვითარების გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№1-01, 1-02, 1-03 და 1-04) დამტკიცების თაობაზე დადგენილება N271	300160070.10.003.017891
17/02/2015	„საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესი“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის №61 დადგენილებით.	040030000.10.003.018446
04/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესი“. დამტკიცებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის №211 ბრძანებით	360160000.22.023.016334

11/08/2015	„ნარჩენების აღრიცხვის წარმოების, ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება #422	360100000.10.003.018808
17/08/2015	ტექნიკური რეგლამენტი - „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“. დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის N426 დადგენილებით.	300230000.10.003.018812
29/03/2016	ტექნიკური რეგლამენტი „ნარჩენების ტრანსპორტირების წესის“ საქართველოს მთავრობის დადგენილება #143	300160070.10.003.019208
29/03/2016	საქართველოს მთავრობის დადგენილება #144 „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“	360160000.10.003.019209
01/04/2016	საქართველოს მთავრობის დადგენილება #159 „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“;	300160070.10.003.019224
01/08/2016	საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს #422 დადგენილება „ნარჩენების აღრიცხვის წარმოების,	360100000.10.003.018808
15/08/2017	ანგარიშგების განხორციელების ფორმისა და შინაარსის შესახებ“. ტექნიკური რეგლამენტი – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ	300160070.10.003.0201
04/02/2020	ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №414 დადგენილება	300160070.10.003.02178

### საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველო მიერთებულია მრავალ საერთაშორისო კონვენციას და ხელშეკრულებას, რომელთაგან აღნიშნული პროექტის სკრინინგის პროცესში მნიშვნელოვანია შემდეგი:

ბაზელის კონვენცია - სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ;

### ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა:

1. კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ, რომ დე ჟანვირო, 1992 წ;
2. კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), ვაშინგტონი, 1973 წ;

3. ბონის კონვენცია ველური ცხოველების მიგრაციული სახეობების დაცვის შესახებ, 1983 წ.
4. ბერნის კონვენცია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ, 1979 წ.

### **დაბინძურება და ეკოლოგიური საფრთხეები:**

ევროპის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ხელშეკრულება მნიშვნელოვანი კატასტროფების შესახებ, 1987 წ.

### **საჯარო ინფორმაცია:**

კონვენცია გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია, 1998 წ).

## **2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა**


### **2.1 დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობა**


საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულალისში. ტერიტორიის საკადასტრო კოდია: 65.10.40.248, რომელიც წარმოადგენს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომელსაც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე განკარგავს შპს „ემკ გრუპი“. ტერიტორიის ფართობი შეადგენს 2 044 814 მ<sup>2</sup>, აქედან პროექტის მიზნებისთვის გამოყენებული იქნება 76 000 მ<sup>2</sup> სადაც, დაგეგმილია სასარგებლო წიაღისეულის (ბაზალტის დაფქვა) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია.

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 1285 მეტრში (ს/კ: 65.09.31.1027). ობიექტის ჩრდილოეთით გადის საავტომობილო გზა. აღმოსავლეთით ობიექტს ემიჯნება შპს „მარაბდა კარწახის რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსებულია რკინიგზის სადგური. საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით გადის მარაბდა-კარწახის რკინიგზა, რომლის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მარაბდა კარწახის რკინიგზა“. დასავლეთით ესაზღვრება აუთვისებელი მიწის ნაკვეთი, რომლის მესაკუთრე ასევე შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ საკუთრებას წარმოადგენს. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით დაახლოებით 550 მეტრში მიედინება მდინარე ფარავანი.

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია მდებარეობს 7 კილომეტრში „ხანჩალის აღკვეთილი“ და ზურმუხტის ქსელის მოქმედი საიტი „ხანჩალი“ GE0000017.

საწარმოს გენ. გეგმა





### 2.1.1 საქმიანობის აღწერა

შპს „ემკ გრუპის“ მიერ დაგეგმილი საქმიანობა განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას და მასთან დაკავშირებული საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

როგორც აღინიშნა პროექტით დაგეგმილია, საწარმოში სასარგებლო წიაღისეულის ბაზალტის ქვების გადამუშავება და ბეტონის კვანძის ექსპლუატაცია. აღნიშნული საქმიანობისთვის ობიექტზე მოწყობილია სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარი, რომელიც შედგება: მიმღები ბუნკერით, როტორით, ყბებიანი სამსხვრეველათი, ვიბროცხაურით, კლასიფიკატორითა და ლენტური ტრანსპორტიორით. ობიექტზე აგრეთვე მოწყობილია პროდუქციის საწყობი, ნედლეულის შემოტანა ობიექტზე ხდება კარიერიდან ავტოთვითმცლელებით. შემოტანილი ნედლეული პირდაპირ თავსდება მიმღებ ბუნკერში. ობიექტზე შემოტანილი ნედლეულის დასაწყობება საპროექტო ტერიტორიაზე არ ხდება.

ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია სამი ერთეული ჰორიზონტალური ტიპის სალექარები, საიდანაც ხდება წყლის მიწოდება სამსხვრევ დანადგარზე (გადამუშავების სველი მეთოდისთვის). ტექნოლოგიური პროცესის მიხედვით, წარმოადგენს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემას.

რაც შეეხება ბეტონის საწარმოს, საწარმოში ავტოტრანსპორტით შემოიზიდება ინერტული მასალები კერძოდ: ღორღი და ქვიშა, რომელიც დასაწყობდება ცალ-ცალკე 50 მ<sup>2</sup> – 50 მ<sup>2</sup> ფართზე, (ჯამში 100 მ<sup>2</sup> ფართის სასაწყობე ტერიტორიაზე) რომელიც მიეწოდება მიმღებ ბუნკერს, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით მიეწოდება ბეტონშემრევს, რომლის წარმადობა შეადგენს 60 მ<sup>3</sup>/სთ. ასევე მოწყობილია 2 ერთეული ლენტური ტრანსპორტიორი ზომებით: 20 მ სიგრძე, 0,8 მ სიგანე. 15 მ სიგრძე, 0,70 მ სიგანე.

ცემენტი საწარმოში შემოიზიდება ცემენტმზიდებით, რომელიც ჩაიტვირთება და დასაწყობდება სილოსებში (2 ერთეული სილოსი), რომელთა საერთო ტევადობა იქნება 250 ტ. სილოსები აღჭურვილია 99%-იანი ეფექტურობის ქსოვილიანი ფილტრით.

წლის განმავლობაში ბეტონშემრევს წარმადობის მიხედვით, შესაძლებელი იქნება 36 000 მ<sup>3</sup> ბეტონის წარმოება, რომლის მისაღებად საჭირო იქნება: 37 151 ტ. ქვიშა, 24 191 ტ. ღორღი, 12 954 ტ. ცემენტი, 3 600 მ<sup>3</sup> წყალი. მომზადებული ბეტონი (პროდუქცია) ტერიტორიიდან გავა ბეტონმზიდებით.

ბაზალტის გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობა შეადგენს 60 მ<sup>3</sup>-ს საათში. წლის განმავლობაში დაგეგმილია 96 000 მ<sup>3</sup> მოცულობის ბაზალტის გადამამუშავება.

#### **ექსპლუატაციის პროცესის აღწერა:**

პირველ ეტაპზე განხორციელდება საბადოდან გადამამუშავებელი ნედლეულის-ბაზალტის ტრანსპორტირება 25 მ<sup>3</sup>-ის მოცულობის თვითმზიდებით, რომელიც პირდაპირ მიეწოდება მიმღებ ბუნკერს. ნედლეულის ტერიტორიაზე დასაწყობება მოხდება საჭიროებისამებრ, (ძირითადად გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის) რომლისთვისაც ტერიტორიაზე მოწყობილია 200 მ<sup>2</sup> ფართობის სასაწყობე ფართი.

როგორც აღინიშნა, პირველ ეტაპზე მოხდება ბუნკერში ნედლეულის განთავსება. ბუნკერიდან პირდაპირ ხდება მიწოდება სამსხვრევზე რომელიც უზრუნველყოფს ბაზალტის პირველად მსხვრევას, დამსხვრეული მასალა ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება როტორული ტიპის სამსხვრევს რათა მოხდეს წვრილ ფრაქციებად ნედლეულის დამსხვრევა. დამსხვრეული მასალა ლენტური ტრანსპორტიორის მეშვეობით გადაინაცვლებს ნედლეულის დამახარისხებელ დანადგარში, საიდანაც გამოიყოფა შემდეგი ზომის ფრაქციები: 0,5 მმ; 5-10 მმ; 10-20 მმ. საბოლოოდ დამსხვრეული/დამამუშავებული მასალა ლენტური ტრანსპორტიორის მეშვეობით გამოდის პროდუქციის სახით და თავსდება პროდუქციის განთავსებისთვის გამოყოფილ ღია სასაწყობო ტერიტორიაზე.

დასაწყობებული მზა პროდუქცია მიწოდებულ იქნება რკინიგზის ლიანდაგების მოპირკეთებისთვისა და რეგიონში არსებულ სამშენებლო კომპანიებზე. საჭიროების შემთხვევაში კომპანია გამოიყენებს ასევე პირადი სარგებლობისთვის კომპანიის მიერ შესასრულებელ სამუშაოებში.

რაც შეეხება ბეტონის საწარმოს, საწარმოში ავტოტრანსპორტიორით შემოიზიდება ინერტული მასალები კერძოდ: ღორღი და ქვიშა, რომელიც დასაწყობდება ცალ-ცალკე 50 მ<sup>2</sup> - 50 მ<sup>2</sup> ფართზე. (ჯამში 100 მ<sup>2</sup> ფართის სასაწყობე ტერიტორიაზე) რომელიც მიეწოდება მიმღებ ბუნკერს, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორის გავლით მიეწოდება ბეტონშემრევს, რომლის წარმადობა შეადგენს 60 მ<sup>3</sup>/სთ. ასევე მოწყობილია 2 ერთეული ლენტური ტრანსპორტიორი ზომებით: 20 მ სიგრძე, 0,8 მ სიგანე. 15 მ სიგრძე, 0,70 მ სიგანე.

ცემენტი საწარმოში შემოიზიდება ცემენტმზიდებით, რომელიც ჩაიტვირთება და დასაწყობდება სილოსებში (2 ერთეული სილოსი, თითოეული 125 ტ ტევადობით), რომელთა საერთო ტევადობა იქნება 250 ტ. სილოსები აღჭურვილია 99%-იანი ეფექტურობის ქსოვილიანი ფილტრით.

წლის განმავლობაში ბეტონშემრევის წარმადობის მიხედვით, შესაძლებელი იქნება 36 000 მ<sup>3</sup> ბეტონის წარმოება, რომლის მისაღებად საჭირო იქნება: 37 151 ტ ქვიშა, 24 191 ტ ღორღი, 12 954 ტ ცემენტი, 3 600 მ<sup>3</sup> წყალი. მომზადებული ბეტონი (პროდუქცია) ტერიტორიიდან გავა ბეტონმზიდებით.

## 2.2 ნარჩენების მართვა

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაგეგმილი პროექტის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. პროექტის ფარგლებში არ არის დაგეგმილი ისეთი სახის ღონისძიებების წარმოება, რომელსაც შესაძლოა თან ახლდეს მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა და შედეგად გარემოს დაბინძურება.

საწარმოს **ექსპლუატაციის ეტაპზე** შესაძლებელია წარმოიქმნას არასახიფათო-საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები. საქმიანობის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად, ნარჩენების სახეობის მიხედვით და შესაბამისი ნორმების დაცვით, მათ შორის:

მუნიციპალური-არასახიფათო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციის მიზნით საწარმოო ტერიტორიაზე განთავსებული იქნება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი შესაბამისი (მარკირებული) კონტეინერები, რომლებიც პერიოდულად (დაგროვების შესაბამისად) იქნება განტვირთული შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშკრულებისამებრ.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. გათვალისწინებული იქნება სახიფათო ნარჩენების სეპარირებული შეგროვება სათანადო კონტეინერ(ებ)ში და აღნიშნული ტიპის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიისთვის გადაცემა.

პროექტის განხორციელების ფარგლებში სახიფათო ან/და არა-სახიფათო ნარჩენებით გარემოს შესაძლო დაზიანებების პრევენციის მიზნით გატარდება დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის:

- ✦ შესაძლო წარმოქმნილი ნარჩენების სათანადო მართვის უზრუნველსაყოფად, კომპანია იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით („ნარჩენების მართვის კოდექსით“) განსაზღვრული ვალდებულებებისა და პირობების მიხედვით;
- ✦ ნარჩენებით გარემოს შესაძლო დაზიანებების პრევენციის მიზნით, განხორციელდება საწარმოო ობიექტზე დასაქმებული ჯგუფის ინსტრუქტაჟი - ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით;
- ✦ კომპანიის წარმომადგენელი მუდმივად გააკონტროლებს საწარმოო ზონაში მიმდინარე სამუშაოების დროს შესაძლო წარმოქმნილი ნარჩენების მართვის პირობებს.

საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ბაზალტის გადამუშავებისას სალექარში წარმოიქმნება/გროვდება შლამი, რომელიც არ განიხილება ნარჩენად. ქვიშა-ხრემის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ყველა ფრაქცია წარმოადგენს პროდუქტს, მათ შორის პროდუქტს წარმოადგენს სალექარში დაგროვებული ლექი. სალექარში დაგროვებული ლექი/შლამი დაგროვების შესაბამისად ამოღებული იქნება და შემდგომ რეალიზაციამდე დროებით დასაწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე.

ბეტონმზიდი მანქანების მბრუნავი დოლურის გამორეცხვის შედეგად, რომელიც ტერიტორიაზე განხორციელდება წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ, წარმოიქმნება მცირე რაოდენობით წყალი, რომელიც გროვდება ცალკე არსებულ ბეტონის სალექარში. სალექარში დაგროვებული მყარი ნარჩენი დაგროვების შესაბამისად ამოღებული იქნება და გაიტანება როგორც ინერტული ნარჩენი. ხოლო სალექარში არსებული წყალი გამოიყენება ტერიტორიის მოსარწყავად/დასანამად.

ბეტონმზიდი მანქანების მბრუნავი დოლურის გამორეცხვისთვის წყალაღება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან.

საერთო ჯამში დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელებით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების განხორციელების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის საჭიროება არ დგას, ხოლო მითითებული ღონისძიებების, მათ შორის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების დაცვა საკმარის გარემოსდაცვით პირობას წარმოადგენს.

## 2.3 საწარმოო პროცესში წყლის გამოყენების და მართვის საკითხები

დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წყალი გამოყენებული იქნება საწარმოო და სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის. საწარმოო და სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის ობიექტის წყლით მომარაგება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან.

**საწარმოო დანიშნულებით** წლის განმავლობაში საჭირო იქნება 96 000 მ<sup>3</sup> წყლის გამოყენება (ერთი მ. კუბი ბაზალტის გადასამუშავებლად გათვალისწინებულია ერთი მ.კუბი წყლის

მოხმარება). ხოლო ბეტონის წარმოებაში გათვალისწინებულია წელიწადში 3 600 მ<sup>3</sup> წყალი (ბეტონის წარმოებაში წყალი გამოიყენება როგორც ნედლეული).

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოო წყლით ობიექტის მომარაგება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან.

ბაზალტის გადასამუშავებლად წყლის აღება განხორციელდება მხოლოდ ბუნებრივი ან/და ტექნოლოგიური დანაკარგების შესავსებად, კერძოდ: საწარმოო პროცესში მოხმარებული წყალი სალექარის გავლით კვლავ ტექნოლოგიურ ციკლში იქნება დაბრუნებული.

ბუნებრივი (აორთქლება) და ტექნოლოგიური (ბაზალტის დანამვა/რეცხვა, სინესტის აღება და ა.შ) დანაკარგი, წლის ჭრილში იქნება საშუალოდ 20-25%, რაც იმას ნიშნავს რომ წლის განმავლობაში საჭირო იქნება დაახლოებით 24 000 მ<sup>3</sup> წყლის აღება ბაზალტის გადასამუშავებლად.

ბეტონის საწარმოსთვის გათვალისწინებულია წელიწადში 3 600 მ<sup>3</sup> წყალი, რომელიც გამოიყენება როგორც ნედლეული, შესაბამისად, ბეტონის წარმოების პროცესში არ წარმოიქმნება ჩამდინარე წყალი.

სულ წლის განმავლობაში, საწარმოო პროცესში გამოსაყენებელი წყლის რაოდენობა შეადგენს 27 600 მ<sup>3</sup>-ს.

**სანიაღვრე-წვიმის წყლები** განსახილველ ობიექტზე, პოტენციურად წარმოიქმნება მთელ ტერიტორიაზე. მოძიებული ინფორმაციით საკვლევ რეგიონში წლის განმავლობაში ნალექი საშუალოდ - 700 მმ-ს შეადგენს. სანიაღვრე წყლების რაოდენობის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც:

Q - სანიაღვრე წყლების მოცულობა;

F - ტერიტორიის ფართობი, სადაც ხდება საწარმოო პროცესი, სანიაღვრე წყლების წარმოქმნა (ჰექტარში), რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეადგენს დაახლოებით 7.6 ჰა-ს;

H - ნალექების რაოდენობა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 700 მმ/წელ;

K - კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე და მოცემულ შემთხვევაში შეადგენს 0.23-ს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წლის განმავლობაში წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მაქსიმალური რაოდენობა იქნება:

$$Q= 10 \times 7.6 \times 700 \times 0.23 = 12\ 236 \text{ მ}^3/\text{წელ.}$$

საპროექტო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სანიაღვრე წყლების დაბინძურების ალბათობა დაბალ მნიშვნელობას ატარებს, კერძოდ: [1] საპროექტო ტერიტორიაზე სანიაღვრე

წყლების პოტენციური დამაბინძურებელი უბნ(ებ)ის (მაგ: დიზელის სამარაგო საცავი) მოწყობა დაგეგმილი არ არის; [2] სანიაღვრე წყლების საწარმოო პერიმეტრიდან არინების მიზნით ტერიტორიაზე დაგეგმილია სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემის მოწყობა, რომელიც ისე დაპროექტდება, რომ განახორციელოს სანიაღვრე წყლების სწრაფი გადინება საწარმოო არეალიდან. სანიაღვრე-სადრენაჟე სისტემა მოიცავს მიწის არხებს საწარმოო ტერიტორიის პერიმეტრზე, რომლებიც მოეწყობა შესაბამისი დახრის კუთხეებით და წყალს აარიდებს საწარმოო უბანს. პირობითად სუფთა სანიაღვრე წყლები ბუნებრივად იქნება დრენირებული (ბუნებრივად შეიწოვება) გრუნტში.

ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების შეკრება მოხდება საასენიზაციო ბეტონის ორმოში, რომელიც პერიოდულად (დაგროვების შესაბამისად) განტვირთული იქნება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სერვისის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

## 2.4 ელექტრომომარაგება

ტერიტორია ელექტრომომარაგებით მარაგდება ადგილობრივი ქსელიდან, რომლის მფლობელს წარმოადგენს „ენერგო პრო ჯორჯია“.

## 2.5 ბუნებრივი რესურსები

დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს ბაზალტის გადამამუშავებელი საწარმოსა და ბეტონის კვანძის ექსპლუატაციას. აღნიშნული საქმიანობისთვის მთავარ ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს ბაზალტს. მოპოვებული რესურსის ტრანსპორტირება ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ავტოტრანსპორტით (ავტოთვითმცლელიებით). კომპანიას წელიწადში დაგეგმილი აქვს 96 000 მ<sup>3</sup> მოცულობის ბაზალტის ქვის გადამამუშავება. მიღებულ პროდუქციას გამოიყენებს, როგორც ლიანდაგების მომანდაკებისთვის, ისე მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობაში. შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება პროდუქციის მიწოდება.

ბეტონის საწარმოს მომარაგება ინერტული მასალებით, ძირითადად განხორციელდება რეგიონში არსებული შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიებისგან. წლის განმავლობაში ბეტონშემრევის წარმადობის მიხედვით, შესაძლებელი იქნება 36 000 მ<sup>3</sup> ბეტონის წარმოება, რომლის მისაღებად საჭირო იქნება: 37 151 ტ ქვიშა, 24 191 ტ ლორდი, 12 954 ტ ცემენტი, 3 600 მ<sup>3</sup> წყალი. მომზადებული ბეტონი (პროდუქცია) ტერიტორიიდან გატანილი იქნება ბეტონმზიდებით.

## 2.6 მისასვლელი გზები/სატრანსპორტო ოპერაციები

როგორც აღინიშნა, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ გადის ასფალტიზირებული საავტომობილო გზა, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და გამოყენებული იქნება ობიექტზე მისასვლელად და ასევე პროდუქციის გატანის მიზნით.

სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელებისას მშრალ ამინდებში ამტვერებისა და გარემოზე ზემოქმედების თავიდან არიდების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის საჩივრების დაფიქსირების შემთხვევაში, საჭიროა კომპანიამ უზრუნველყოს საპროექტო ტერიტორიასთან მისასვლელი გზის დანამკა.

ნედლეულის შემოზიდვა განხორციელდება საშუალოდ 2 დღეში ერთხელ. ნედლეულის ტრანსპორტირება განხორციელდება 25 მ<sup>3</sup>-იანი თვითმცლელით. ნედლეულის მიწოდება განხორციელდება რვა (8) თვითმცლელით და თითოეული მანქანა შეასრულებს საშუალოდ 4 რეისს.

პროდუქციის სატრანსპორტო გადაზიდვები (მარშრუტი, რაოდენობა) დამოკიდებული იქნება შესაბამის შეკვეთებზე, რომლის წინასწარ განსაზღვრა/ანალიზი შეუძლებელია.

სატრანსპორტო გადაზიდვების სიახშირისა და რაოდენობის, ასევე გამოსაყენებელი მარშრუტების გათვალისწინებით, სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელება დაკავშირებული არ იქნება გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, მათ შორის მოსახლეობის შეწუხებასთან. მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, სატრანსპორტო გადაზიდვები მნიშვნელოვანია განხორციელდეს სათანდო გარემოსდაცვითი პირობების დაცვით, რათა მინიმუმამდე იქნეს შემცირებული ხმაურის გავრცელებითა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედება გარემოზე. შესაძლო ზემოქმედების მინიმუმაციის მიზნით გათვალისწინებული იქნება სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების გატარება, მათ შორის:

- ✦ უზრუნველყოფილი იქნება სატვირთო მანქანების ტექნიკური გამართულობა - ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტი საექსპლუატაციოდ არ დაიშვება;
- ✦ სატრანსპორტო გადაზიდვები განხორციელდება მხოლოდ დღის განმავლობაში;
- ✦ დაზიანებულ მისასვლელ გზებზე გადაადგილებით შესაძლო შექმნილი ხმაურის ან/და მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით (შესაბამისი საჭიროებისამებრ) განხორციელდება მისასვლელი გზების საფარის კეთილმოწყობა;
- ✦ ტვირთის გადაზიდვა უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ ძარაგადახული სატვირთო ტრანსპორტით;
- ✦ სატრანსპორტო მარშრუტების დასახლებული პუნქტებიდან მაქსიმალური არიდება;
- ✦ მშრალ და ქარიან ამინდებში პოტენციური ამტვერების უბნები, მათ შორის საწარმომდე მისასვლელი გზა, წყლით დაინამება.
- ✦ დასახლებულ ზონებში გადაადგილების საჭიროების შემთხვევაში ხმაურის გავრცელების ან/და ამტვერების პრევენციის მიზნით შეიზღუდება სატვირთო ტექნიკის მოძრაობის სიჩქარეები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, მათ შორის განსაზღვრული ღონისძიებებიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ რომ დაგეგმილი საქმიანობა, დაკავშირებული არ იქნება სატრანსპორტო გადაზიდვებით გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების ან/და დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასხვა-განხორციელების საჭიროება არ დგას.

### 3. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზი

განსახილველი ობიექტის საპროექტო მახასიათებლების ანალიზის შედეგად განხორციელდა გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი, მათ შორის გამოიკვეთა პოტენციური ზემოქმედების წყაროები, ხოლო ობიექტური შეფასებების საფუძველზე დადგინდა მოსალოდნელი ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

საწარმოს მოწყობითი სამუშაოები დაკავშირებული არ ყოფილა ბუნებრივი გარემოს ათვისებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, მათ შორის: საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ადამიანის საქმიანობის შედეგად სახეცვლილ ლანდშაფტს, სადაც სენსიტიური ჰაბიტატები ან/და ბიომრავალფეროვნების საკონსერვაციო სახეობები არ გვხვდება. საკვლევი ტერიტორიის ადგილსპეციფიური პირობების გათვალისწინებით დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ ყოფილა ფლორისტულ ან/და ფაუნისტურ გარემოზე მოსალოდნელ შესაძლო მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

საწარმო ობიექტის ფუნქციონირებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე ძირითადად შესაძლოა დაკავშირებული იყოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან, ხმაურის დონის ზენორმატიულ გადაჭარბებასთან, ან/და ნარჩენების არასათანდო მართვასთან. დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის ფარგლებში განხორციელებული ემისიების ანგარიშით დადგინდა რომ: საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი მავნე ნივთიერების რაოდენობრივ-თვისობრივი მნიშვნელობები, როგორც 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე, ისე უახლოეს მოსახლესთან არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ ზღვრულ კონცენტრაციებს. ხმაურის გავრცელების მოდელირებით დგინდება რომ საწარმო ობიექტიდან წარმოქმნილი ხმაურის დონე, უარესი სცენარის გათვალისწინებით, უახლოეს რეცეპტორებთან კანონმდებლობით დადგენილ ნორმირებულ ზღვარს არ აჭარბებს. შესაძლო წარმოქმნილი ნარჩენების ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებით მართვის შემთხვევაში, ნარჩენებით (სახიფათო/არასახიფათო) გარემოს დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

განსაზღვრული საქმიანობის საპროექტო მახასიათებლებისა და საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით, მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე არ შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც „მნიშვნელოვანი“. მომდევნო ქვეთავებში აღწერილია სკრინინგის პროცედურის შედეგად გამოვლენილი/გამოკვეთილი პოტენციური ზემოქმედების წყაროები,

გაანალიზებულია მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობა და მოცემულია შესაბამისი დასკვნები.

### 3.1 ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება/ზემოქმედების დახასიათება

ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე უარყოფითი ზემოქმედების წყაროებად განიხილება ტექნოლოგიური ხაზის მუშაობა, სატრანსპორტო ოპერაციები, პერიოდული სარემონტო სამუშაოები და ნარჩენების არასწორი მართვა.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა მტვერი და ცემენტის მტვერი. 3.1.1 ცხრილიში წარმოდგენილია მტვრის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის სიდიდეები.

#### ცხრილი 3.1.1

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ <sup>3</sup>		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2909	ინერტ. მასალის მტვერი	0,5	0,15	3
2908	ცემენტის მტვერი/არაორგ.მტვერი	0,3	0,1	3

#### ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

„ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის № 42 დადგენილების თანახმად, ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

1. ინსტრუმენტული გაზომვებით
2. საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

წინამდებარე დოკუმენტში გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

საწარმოში აღრიცხულია შემდეგი დაბინძურების წყაროები.

#### ინერტული მასალების წარმოების უბანი.

- ნედლეულის (ბაზალტი) ავტოთვითმცლელეებიდან ჩამოცლა, დასაწყობება გ-1
- ნედლეულის (ბაზალტი) სამსხვრევის ბუნკერში ჩატვირთვა გ-2

- სამსხვრევი დანადგარები (ორჯერადი მსხვრევისთვის) გ-3
- ლენტური ტრანსპორტიორ(ებ)ი გ-4
- ინერტული მასალის საწყობი გ-5

**ბეტონის წარმოების უბანი.**

- ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) ჩამოცლა დასაწყობება გ-6
- ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) მიმღებ ბუნკერში ჩაყრა გ-7
- ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება გ-8
- სილოსებში ცემენტის ჩატვირთვა გ-9
- ბეტონის შემრევი დანადგარი გ-10

ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც მოწყობილობების მუშაობა მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ, მყარი ნაწილაკების გაფრქვევების გაანგარიშებისას რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას ამ გაფრქვევების მნიშვნელობების შემასწორებელი მტვრის დალექვის მახასიათებელი კოეფიციენტები, კერძოდ მყარი ნაწილაკებისთვის 0,4.

**ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში ინერტული მასალების წარმოების უბანი**

**გაფრქვევები ინერტული მასალის (ბაზალტი) ავტოთვითმცლელიებიდან ჩამოცლისა და დასაწყობების ადგილიდან გ-1**

ინერტული მასალის (ბაზალტი) ავტოთვითმცლელიებიდან ჩამოცლა და დასაწყობება განხილულია გაფრქვევის ერთ წყაროდ.

ნედლეულის ავტოთვითმცლელიდან ჩამოცლისას გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = K_1 \times K_2 \times K_3 \times K_4 \times K_5 \times K_7 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ,}$$

სადაც,

K1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია;

K2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტი;

